საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

2856-01-2-201406271902

N 01/2856
27/06/2014

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 2013 წელს მოამზადა რეგიონების 2014-2021 წლების განვითარების ინდივიდუალური სტრატეგიები, რომლებიც 2013 წლის სექტემბერში დამტკიცებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ. ამ ეტაპზე ვიწყებთ აღნიშნული სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავებას. ეს უმნიშვნელოვანესია ასოცირების დღის წესრიგში გაწერილი შესაბამისი ვალდებულებების შესასრულებლად (თავი 2.6.), ასევე, ევროკავშირის საბიუჯეტო და სექტორული დახმარების პროგრამის (ფაზა 2 – 30 მლნ ევრო) შეუფერხებელი ინიცირებისა და განხორციელებისთვის.

იმის გათვალისწინებით, რომ სამოქმედო გეგმების შემუშავება უკვე აქტიურ ფაზაში შევიდა, ხოლო ვადები უკიდურესად შემჭიდროვებულია, გთხოვთ, დანართი 1-ის შესაბამისად მოგვაწოდოთ დაზუსტებული ინფორმაცია იმ პროექტების შესახებ, რომელთა განხორციელება მიმდინარეობს ან დაგეგმილია თქვენი სამინისტროს მიერ 2014-2017 წლების პერიოდში.

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

მოგეხსენებათ, რომ სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით, რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიასთან 2013 წლის 28 დეკემბრს შეიქმნა სპეციალური უწყებათაშორისო სამუშაო ჯგუფი, სადაც თქვენი უწყებიდან უკვე წარმოდგენილ იქნა შესაბამისი კანდიდატურა (იხ. დანართი 2). გთხოვთ ცვლილების საჭიროების შემთხვევაში გვაცნობოთ დამატებით.

დანართი: 2 ფურცელი

პატივისცემით,

თენგიზ შერგელაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

.